



## ონლაინ მედიის წინასაარჩევნო მონიტორინგი

17 აგვისტო - 17 სექტემბერი 2013

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტმა“ (CDI) განაახლა მედიამონიტორინგი ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის „პროფესიონალური მედია არჩევნებისთვის“ ფარგლებში. მონიტორინგი ხორციელდება 2013 წლის 15 ივნისიდან 2013 წლის 15 ნოემბრამდე და მოიცავს საინფორმაციო პორტალის ტიპის 12 ყველაზე რეიტინგულ ქართულ ვებგვერდს: netgazeti.ge, droni.ge, politico.ge, liberali.ge, news.ge, presa.ge, civil.ge, tabula.ge, garbonline.tv, for.ge, dfwatch.net, palitratv.ge. მოცემული ანგარიში მოიცავს მედიამონიტორინგის შედეგებს 17 აგვისტოდან 17 სექტემბრის ჩათვლით.

ონლაინ მედიის მონიტორინგის მესამე პერიოდში გამოვლინდა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

- მონიტორინგის მესამე პერიოდში ონლაინ მედია, მონიტორინგის წინა პერიოდებთან შედარებით, გაცილებით აქტიურად აშუქებს საპრეზიდენტო კანდიდატთა წინასაარჩევნო კამპანიას.
- ვებგვერდების უმეტესობა მეტ-ნაკლებად დაბალანსებულად და მიუკერძოებლად აშუქებს საპრეზიდენტო კანდიდატთა საქმიანობას.
- მმართველი პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატის დისკრედიტაციის ამკარა მცდელობა შეინიშნება ვებგვერდებზე presa.ge და droni.ge.
- ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები სისტემატურად ირღვევა ვებგვერდებზე presa.ge, droni.ge და for.ge.
- ინგლისურენოვან ვებგვერდებზე dfwatch.net და civil.ge (civil.ge სტატიებს აქვეყნებს როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ და რუსულ ენებზე) კიდევ უფრო იკლო კრიტიკულმა მიდგომამ საკითხების მიმართ.
- მონიტორინგის მესამე პერიოდშიც ონლაინ მედიის მთავარ პრობლემებად რჩება საკითხებისადმი ზედაპირული მიდგომა, ცალკეულ სტატიებში ინფორმაციის წყაროთა სიმცირე და სტატიების სათაურების შეუსაბამობა ტექსტებთან.

## netgazeti.ge

netgazeti.ge-ს სტატიები მონიტორინგის მესამე პერიოდში გამოირჩევა საკმაოდ კრიტიკული შინაარსით, როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის მიმართ. აგრეთვე საარჩევნო დარღვევებისა და საარჩევნო თემატიკის აქტიური გაშუქებით. კრიტიკული შინაარსის სტატიების მიუხედავად ვებგვერდი ახერხებს ჟურნალისტური სტანდარტების დაცვას, სტატიები დაბალანსებულია რესპონდენტთა მრავალფეროვნებით, მიუკერძოებელია და არსად ვლინდება ჟურნალისტური ეთიკის უხეში დარღვევის ფაქტები.

ძირითადი ყურადღება ეთმობა საარჩევნო თემატიკას, საარჩევნო დარღვევებს და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გაკეთებულ დასკვნებს ამ მიმართულებით.


პრიორიტეტულ თემებს შორის საარჩევნო თემატიკის გარდა უნდა დავასახელოთ მთავრობის საქმიანობა და საკანონმდებლო ცვლილებები.

netgazeti.ge-ზე მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ყველაზე ინტენსიურად მთავრობის (28%), პრემიერმინისტრისა (23%) და პრეზიდენტის (17%) საქმიანობა გაშუქდა.

ნეგატიური ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა პრეზიდენტის (25%), „ნაციონალური მოძრაობისა“ (30%) და მთავრობის (23%) გაშუქებისას.

საპრეზიდენტო კანდიდატების მიმართ ინტერესი მონიტორინგის მესამე პერიოდში საკმაოდ გაზრდილია, თუმცა მკვეთრად გამოკვეთილია ორი კანდიდატის აქტივობა: მმართველი გუნდის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი (6%) და სალომე ზურაბიშვილი (3%). დანარჩენი საპრეზიდენტო კანდიდატების გაშუქება არ აღემატება 1%-ს. ვებგვერდი იშვიათად აქვეყნებს საპრეზიდენტო კანდიდატებთან ინტერვიუებს; მათი გაშუქების სიხშირე მხოლოდ კანდიდატთა საარჩევნო კამპანიის აქტივობას ემთხვევა.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ netgazeti.ge საკმაოდ მიუკერძოებლად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს. დაცულია ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.



### droni.ge

მონიტორინგის მესამე პერიოდში droni.ge-ზე კიდევ უფრო ნათლად შეიმჩნევა, ერთი მხრივ, დადებითი დამოკიდებულება პრეზიდენტისა და „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ, ხოლო მეორე მხრივ უარყოფითი დამოკიდებულება პრემიერმინისტრის, კოალიცია „ქართული ოცნებისა“ და მთავრობის მიმართ. ვებგვერდზე ხშირად ირღვევა ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.


ვებგვერდზე მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ყველაზე ინტენსიურად შუქდებოდა პრემიერმინისტრის (44%), მთავრობის (17%), „ნაციონალური მოძრაობისა“ (15%) და პრეზიდენტის (8%) საქმიანობა. საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის ყველაზე ინტენსიურად გიორგი მარგველაშვილი (8%) და დავით ბაქრაძე (1%) გაშუქდა.

უარყოფითი ტონის მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა კოალიცია „ქართული ოცნების“ (42%), მთავრობის (39%) და საპრეზიდენტო კანდიდატ გიორგი მარგველაშვილის (42%) გაშუქებისას.

ვებგვერდზე ცალკეულ სტატიებში იშვიათად არის დაცული წყაროთა ბალანსი. ასევე, შეგვხვდა არაერთი სტატია, რომელიც უარყოფით განწყობას ქმნიდა ხელისუფლების მიმართ. აღსანიშნავია რამდენიმე ფოტო-კოლაჟი, რომელიც მთავრობის წევრთა მიმართ უარყოფით ნიშნებს შეიცავდა; მაგალითად, „მაია ფანჯიკიძემ პლასტიკური ოპერაციები გაიკეთა?“ (2 სექტემბერი), „უკომენტარო ფოტო: კახი კალაძის ახალგაზრდობა“ (12 სექტემბერი). ასევე, ვიდეო კლიპი კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ შეუსრულებელი დაპირებების შესახებ (13 სექტემბერი).

ჟურნალისტური სტანდარტების უხეშ დარღვევად უნდა ჩაითვალოს ვებგვერდის მიერ გამოქვეყნებული ორი სტატია, რომლებშიც გარდაცვლილი ახალგაზრდის დედა ბრალს სდებს გიორგი მარგველაშვილს, რადგან, მისი განცხადებით, მკვლელობა გიორგი მარგველაშვილის ნათესავმა ჩაიდინა. ამ სტატიებში წარმოდგენილია მხოლოდ ბრალდებები გიორგი მარგველაშვილის მიმართ და არ არის წარმოდგენილი რაიმე ოფიციალური მტკიცებულება ხსენებული მკვლელობის შესახებ.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ droni.ge საკმაოდ მიკერძოებულია ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების გაშუქებისას. ვებგვერდზე სისტემატურად ირღვევა ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. ნათლად ჩანს, საპრეზიდენტო კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის დისკრედიტაციის მცდელობა.



### politico.ge


მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ვებგვერდზე განსაკუთრებით დიდი ყურადღება დაეთმო ირაკლი ალასანიას ვიზიტს ამერიკის შეერთებულ შტატებში და პრემიერმინისტრის მიერ ევრაზიის კავშირის შესახებ გაკეთებული განცხადების შეფასებებს. მონიტორინგისას politico.ge-ზე გვხვდებოდა სათაურებად გამოტანილი ნეგატიური კონტექსტის ციტატები (მაგ: „ეს კაცი პრემიერია, თუ ქარვასლას უფროსი?“, 19 აგვისტო).

ვებგვერდი ცდილობს გააშუქოს ქვეყანაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა და ასევე, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა საქმიანობა. დაკვირვების შედეგად ვებგვერდზე შეიმჩნევა დადებითი განწყობა „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ.

მონიტორინგის მესამე პერიოდში ვებგვერდზე ყველაზე ინტენსიურად პრემიერმინისტრის (32%), პრეზიდენტის (16%), „ნაციონალური მოძრაობის“ (14%) და მთავრობის (13%) საქმიანობა შუქდებოდა.

დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა პრეზიდენტისა (14%) და პრემიერმინისტრის გაშუქებისას (23%). აღსანიშნავია, რომ პრემიერმინისტრის გაშუქებისას დადებითი ტონის მნიშვნელოვანი წილი თავად პრემიერის განცხადებებმა განაპირობა, რომლებსაც რედაქცია ხშირ შემთხვევებში უცვლელად გვთავაზობს (საგულისხმოა, რომ მონიტორინგის ამ პერიოდში პრემიერმა რამდენიმე ვრცელი განცხადება გააკეთა).

საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის ყველაზე ინტენსიურად ნინო ბურჯანაძე (5%), გიორგი მარგველაშვილი (4%), დავით ბაქრაძე (2%) და სალომე ზურაბიშვილი (2%) შუქდებოდა. აღსანიშნავია უარყოფითი ტონის საკმაოდ მაღალი მაჩვენებლები ნინო ბურჯანაძისა (53%) და გიორგი მარგველაშვილის (42%) გაშუქებისას.



## liberali.ge

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში liberali.ge-ზე არ გამოვლენილა ჟურნალისტური ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის ფაქტები. თუმცა, უნდა აღინიშნოს ცალკეულ სტატიებში წყაროთა სიმცირე და მოვლენების ზედაპირული გაშუქება.


ვებგვერდი ამომწურავად არ აშუქებს დღის მნიშვნელოვან მოვლენებს. თემატიკის სიმწირეში იკვეთება რედაქციისთვის პრიორიტეტული თემა - განათლება. მონიტორინგის ამ პერიოდში აქტიურად გაშუქდა: პრემიერის მიერ „მე-9 არხის“ გასხვისების საკითხი და ცესკოს უარი

სალომე ზურაბიშვილის საპრეზიდენტო კანდიდატად დარეგისტრირების თაობაზე. liberali.ge-ზე ნაკლებად შუქდება საპრეზიდენტო კანდიდატთა წინასაარჩევნო კამპანია.

მოცულობის თვალსაზრისით ყველაზე მაღალი პროცენტი პრემიერმინისტრსა (48%) და მთავრობას (22%) ერგო. იქიდან გამომდინარე, რომ ვებგვერდზე წინასაარჩევნო კამპანია ნაკლებად იყო გაშუქებული, საპრეზიდენტო კანდიდატებზე დაბალი პროცენტული მაჩვენებელი გადანაწილდა: სალომე ზურაბიშვილი 4 %, გიორგი მარგველაშვილი 2%, დავით ბაქრაძე 2%.

დადებითი ტონის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა პრემიერის (43%) გაშუქებისას. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის პერიოდში ვებგვერდმა გამოაქვეყნა პრემიერმინისტრის არაერთი ვრცელი განცხადება და შესაბამისად, გაიზარდა მის მიმართ დადებითი ტონის პროცენტული მაჩვენებელი. უარყოფითი ტონის მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა პრეზიდენტისა (43%) და მთავრობის (41%) გაშუქებისას. ასევე, უარყოფითი ტონის საკმაოდ მაღალი პროცენტული მაჩვენებელი დაფიქსირდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის გაშუქებისას (74%), რაც განაპირობა საპრეზიდენტო კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის უარყოფითმა შეფასებებმა ცესკოს მიმართ მისი კანდიდატად დარეგისტრირების შესახებ შექმნილი ვითარების დროს.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ liberali.ge მეტ-ნაკლებად დაბალანსებულად და მიუკერძოებლად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. არ შეიმჩნევა განსაკუთრებით დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე საპრეზიდენტო კანდიდატის მიმართ. ვებგვერდზე დაცულია ჟურნალისტური ეთიკის ნორმები.



news.ge


მონიტორინგის მესამე პერიოდში news.ge-მ აქტიურად გააშუქა ქვეყანაში მიმდინარე პრაქტიკულად ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა. მონიტორინგის წინა პერიოდების მსგავსად, ვებგვერდმა ყველაზე დიდი მოცულობით კვლავ მთავრობისა (32%) და პრემიერმინისტრის (20%) საქმიანობა გააშუქა. თუმცა, მონიტორინგის წინა პერიოდებთან შედარებით, საგრძნობლად გაიზარდა საპრეზიდენტო კანდიდატების გაშუქების წილი, რაც ზოგადად საპრეზიდენტო კამპანიის გააქტიურებით შეიძლება აიხსნას.

საპრეზიდენტო კანდიდატთაგან news.ge-ზე ყველაზე ინტენსიურად გიორგი მარგველაშვილი (7%) გაშუქდა. შედარებით ნაკლები დრო დაეთმო დავით ბაქრაძეს (2%). ინტენსიურად გაშუქდა სალომე ზურაბიშვილის (3%), გიორგი თარგამაძისა (3%) და ნინო ბურჯანაძის (2%) წინასასარჩევნო საქმიანობა.

აღსანიშნავია, რომ გიორგი მარგველაშვილის გაშუქების ტონი უმეტესად პოზიტიური იყო (60%), რაც განაპირობა იმან, რომ გიორგი მარგველაშვილი მონიტორინგის მოცემული პერიოდისთვის უკვე აქტიურად ატარებდა შეხვედრებს საქართველოს რეგიონებსა და დედაქალაქში, სადაც მისი ტექსტი და მიმართვები ძირითადად დადებითი ტონის მატარებელი იყო.

მონიტორინგის მესამე ეტაპზე news.ge-ზე საკმაოდ ხშირად გვხვდებოდა ისეთ ტიპის სტატიები, სადაც იშვიათად იყო დაცული წყაროთა ბალანსი. ასევე, დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ინფორმაცია არ იყო სანდო წყაროს მიერ მოწოდებული და სტატიაში არც ჟურნალისტის მცდელობა ჩანდა - გადაემოწმებინა ინფორმაცია, რომელიც ხშირად გარკვეულ ბრალდებებს შეიცავდა ამა თუ იმ სუბიექტის მიმართ.

აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის წინა პერიოდებთან შედარებით news.ge-ზე იკლო Facebook-იდან მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მომზადებულ სტატიათა რაოდენობამ.



**presa.ge**


მონიტორინგის მესამე პერიოდში presa.ge-ს სტატიებში სისტემატურად ირღვეოდა ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. ცალკეულ სტატიებში იშვიათად გვხვდება წყაროთა მრავალფეროვნება; ინფორმაცია ხშირად გადაუმოწმებელია და ინფორმაციის წყარო უცნობი. ასევე, ხშირია შემთხვევები, როდესაც ჟურნალისტი საკუთარ მოსაზრებებზე დაყრდნობით აკეთებს დასკვნებს.

ვებგვერდზე პრაქტიკულად ყველა სტატია კრიტიკულია სახელისუფლებო ძალების მიმართ. presa.ge განსაკუთრებით კრიტიკულია მმართველი ძალის საპრეზიდენტო კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის მიმართ, რომელიც ჟურნალისტთა მიერ ხშირადაა მოხსენიებული როგორც „პრემიერის თოჯინა“. ვებგვერდი ღიად გამოხატავს დადებით განწყობას „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ. ეს ტენდენცია ცხადად იკვეთება კრიმინალური შემთხვევების გაშუქებისას - ამ თემისთვის მიძღვნილ თითქმის ყველა სტატიაში ხაზი აქვს გასმული იმ ფაქტს, რომ წინა ხელისუფლების პირობებში კრიმინალი შემცირებული იყო, ხოლო ახალი მთავრობის არაეფექტური მუშაობა ხელს უწყობს ქვეყანაში კრიმინალის ზრდას.

ვებგვერდზე უპრეცედენტოდ მაღალი უარყოფითი ტონის მაჩვენებელი დაფიქსირდა გიორგი მარგველაშვილის მიმართ (90%). ასეთივე, მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა მთავრობისა (82%) და კოალიცია „ქართული ოცნების“ (81%) გაშუქებისას.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ presa.ge დაუბალანსებლად და მიკერძოებულად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს. ვებგვერდზე ცხადად შეიმჩნევა მმართველი ძალის საპრეზიდენტო კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის დისკრედიტაციის მცდელობა.





## civil.ge


მონიტორინგის მესამე პერიოდში, ისევე, როგორც მონიტორინგის წინა პერიოდებში, civil.ge საკმაოდ დაბალანსებულად და მიუკერძოებლად აშუქებდა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს. ვებგვერდზე არ შეიმჩნევა გამოკვეთილად დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. მაღალ დონეზეა დაცული ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ვებგვერდზე კიდევ უფრო იკლო ანალიტიკური სტატიების რაოდენობამ და ასეთი სტატიები პრაქტიკულად აღარ გვხვდება. ასევე, იშვიათია ვებგვერდზე კრიტიკული სტატიები და შესაბამისად, მაღალია მონიტორინგის სუბიექტთა გაშუქების ნეიტრალური ტონის პროცენტული მაჩვენებლები. civil.ge მონიტორინგის მესამე პერიოდში ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს უმეტეს შემთხვევებში მხოლოდ ზედაპირულად აშუქებდა.

მონიტორინგის სუბიექტებს შორის ყველაზე ინტენსიურად პრემიერმინისტრის (40%), მთავრობისა (19%) და პრეზიდენტის (9%) საქმიანობა გაშუქდა. ვებგვერდზე არ დაფიქსირებულა განსაკუთრებით მაღალი დადებითი ან უარყოფითი ტონის მაჩვენებლები რომელიმე საპრეზიდენტო კანდიდატის გაშუქებისას. ყველაზე მაღალი დადებითი ტონის მაჩვენებელი პრემიერმინისტრის (16%) გაშუქებისას გამოიკვეთა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ვებგვერდმა პრემიერმინისტრის არაერთი განცხადება

გამოაქვეყნა, რამაც შესაბამისად გაზარდა მის მიმართ დადებითი ტონის პროცენტული მაჩვენებელი.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ civil.ge საკმაოდ დაბალანსებულად და მიუკერძოებლად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს. დაცულია ჟურნალისტური ეთიკის ნორმები. თუმცა, მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ვებგვერდი მოვლენების მხოლოდ ზედაპირული გაშუქებით შემოიფარგლებოდა და იშვიათი იყო სტატიებში წყაროთა მრავალფეროვნება.




## tabula.ge

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში tabula.ge ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს ძირითადად მოკლე, საინფორმაციო ხასიათის სტატიებით აშუქებს. ხშირად სტატიებს ვიდეო სიუჟეტებიც ერთვს. ვებგვერდი გამოირჩევა თემატური მრავალფეროვნებით. ცალკეულ სტატიებში ბალანსი უმეტეს შემთხვევებში დაცულია, თუმცა ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად იკვეთება შედარებით პოზიტიური განწყობა „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ. ინტენსიურად და დაწვრილებით შუქდება ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთა დაპატიმრებისა და დაკითხვების შესახებ ინფორმაციები. ასევე, საკმაოდ ინტენსიურად შუქდება წინა ხელისუფლების მიერ დაწყებული ინფრასტრუქტურული პროექტების შეჩერების საკითხები. ხშირია რესპონდენტთა კომენტარები, რომლებიც მთავრობის წევრთა პრორუსულ განწყობებზე საუბრობენ. ასევე, ხშირად ქვეყნდება დასავლურ მედიაში გავრცელებული სტატიები ყოფილ მაღალჩინოსანთა დაპატიმრებების შესახებ, სადაც ახალი მთავრობის კრიტიკა საკმაოდ ვრცელ ადგილს იკავებს. tabula.ge -ს მიკერძოებულ ელფერს სძენს მსგავსი ხასიათის აქცენტების ხაზგასმა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე.

მონიტორინგის სუბიექტთა შორის ყველაზე ინტენსიურად პრემიერმინისტრის (33%), მთავრობისა (24%) და „ნაციონალური მოძრაობის“ (15%) საქმიანობა გაშუქდა.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ვებგვერდზე არ დაფიქსირებულა განსაკუთრებით მაღალი დადებითი ან უარყოფითი ტონის მაჩვენებლები რომელიმე საპრეზიდენტო კანდიდატის მიმართ.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ tabula.ge-ზე შეიმჩნევა შედარებით დადებითი განწყობა „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგის პერიოდში ვებგვერდზე ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები არ დაფიქსირებულა. tabula.ge მეტ-ნაკლებად მიუკერძოებლად აშუქებს საპრეზიდენტო კანდიდატთა წინასაარჩევნო საქმიანობას.



### garbonline.tv


*(ვებგვერდზე 2 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე მიმდინარეობდა ტექნიკური სამუშაოები და შესაბამისად, მოცემული ანგარიში მოიცავს 2 სექტემბრიდან 17 სექტემბრამდე პერიოდს)*

მონიტორინგის მესამე პერიოდში garbonline.tv-ზე იმატა სიუჟეტების რაოდენობამ საპრეზიდენტო კანდიდატთა საქმიანობის შესახებ. პოლიტიკოსთა თუ სახელმწიფო მოხელეთა საქმიანობის ამსახველი ვიდეომასალა ვებგვერდზე უმეტესად ხანმოკლეა და ხშირ შემთხვევებში პრესკონფერენციაზე გადაღებული მასალების ან საპრეზიდენტო კანდიდატთა წინასაარჩევნო შეხვედრების ფრაგმენტებს წარმოადგენს. მონიტორინგის მოცემულ პერიოდში სიუჟეტებში იმატა ჟურნალისტთა მსჯელობამ და კომენტარებმა. უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალისტთა ტექსტები მომზადებულია ჟურნალისტური სტანდარტებისა

და ეთიკის ნორმების მაღალ დონეზე დაცვით. ვებგვერდი პოლიტიკურ მოვლენებს საკმაოდ მიუკერძოებლად აშუქებს და არ შეიმჩნევა დადებითი ან უარყოფითი განწყობა ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის მიმართ.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ვებგვერდზე ყველაზე ინტენსიურად მთავრობის (32%), პრემიერმინისტრისა (15%) და ცენტრალური საარჩევნო კომისიის (12%) საქმიანობა გამოუქდა. განსაკუთრებით დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე საპრეზიდენტო კანდიდატის მიმართ არ შეიმჩნევა.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ garbonline.tv საკმაოდ მიუკერძოებლად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს. მაღალ დონეზეა დაცული ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. თუმცა, ვებგვერდზე კვლავ შეიმჩნევა მასალათა სიმცირე.



## for.ge

მონიტორინგის მესამე პერიოდში, ისევე, როგორც პირველ და მეორე პერიოდებში, for.ge-ზე ნათლად შეიმჩნევა უკიდურესად უარყოფითი განწყობა პრეზიდენტისა და „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ. ამ დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს პრეზიდენტისა და „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ უაღრესად კრიტიკულად განწყობილ რესპონდენტთა ინტერვიუების სიხშირე და ასევე თავად ვებგვერდის ჟურნალისტთა მიერ ხშირად გამოყენებული საკმაოდ შეურაცხმყოფელი განცხადებები ხსენებული სუბიექტების მიმართ. ეს ტენდენცია ასევე იკვეთება სტატიათა სათაურებშიც, როგორებიცაა, მაგალითად: „შვეულმფრენი, ანუ შვეული ზღაპრები მფრინავი სააკაშვილისგან“ (12 სექტემბერი).


ვებგვერდზე საკმაოდ მაღალი უარყოფითი ტონის მაჩვენებლები დაფიქსირდა პრეზიდენტისა (74%) და „ნაციონალური მოძრაობის“ (52%) გაშუქებისას.

ვებგვერდზე გამოქვეყნებულ სტატიებში იშვიათადაა დაცული წყაროთა ბალანსი. ასევე, აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესაფასებლად ვებგვერდი საკმაოდ ხშირად მიმართავს ერთი და იგივე ექსპერტებს, რომლებიც პრაქტიკულად ნებისმიერ თემაზე საუბრისას აკრიტიკებენ პრეზიდენტსა და „ნაციონალურ მოძრაობას“.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მონიტორინგის წინა პერიოდებთან შედარებით, ვებგვერდზე გახშირდა თავად „ნაციონალური მოძრაობის“ წევრთა კომენტარები თუ ვრცელი ინტერვიუები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ინტერვიუ ბაჩო ახალაიას ადვოკატთან, რომელშიც, რესპონდენტის საუბრიდან გამომდინარე, ბაჩო ახალაია და „ნაციონალური მოძრაობა“ დადებითი კუთხით იყო წარმოჩენილი (21 აგვისტო).

რაც შეეხება ვებგვერდის თემატურ მრავალფეროვნებას - განსაკუთრებული ინტენსივობით შუქდება თავდაცვის სამინისტროსა და მინისტრ ირაკლი ალასანიას საქმიანობა. ვებგვერდზე მსგავსი ინტერესი არ შეიმჩნევა არცერთი სხვა სახელმწიფო სტრუქტურის მიმართ.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ for.ge საკმაოდ დაუბალანსებლად და მიკერძოებულად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს. ვებგვერდზე სისტემატურად ირღვევა ჟურნალისტური ეთიკის ნორმები.




## dfwatch.net

მონიტორინგის მესამე პერიოდში ვებგვერდზე კიდევ უფრო შემცირდა ანალიტიკური ხასიათის სტატიების რაოდენობა და ძირითადად შედარებით მოკლე, საინფორმაციო ხასიათის სტატიები ქვეყნდებოდა. dfwatch.net საკმაოდ დაბალანსებულად და მიუკერძოებლად აშუქებს პოლიტიკოსთა თუ სხვადასხვა სახელწიფო უწყებათა საქმიანობას. მაღალ დონეზეა დაცული ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. ვებგვერდზე შუქდება სხვადასხვა პოლიტიკური ძალის წარმომადგენელთა მოსაზრებები.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ვებგვერდზე ყველაზე ინტენსიურად მთავრობის (28%), პრემიერმინისტრისა (20%) და პრეზიდენტის (20%) საქმიანობა შუქდებოდა. უარყოფითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა პრეზიდენტისა (30%) და „ნაციონალური მოძრაობის“ (20%) გაშუქებისას. მონიტორინგის მესამე პერიოდში ვებგვერდზე არ შეიმჩნეოდა განსაკუთრებით დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე საპრეზიდენტო კანდიდატის მიმართ.

ისევე როგორც მონიტორინგის წინა პერიოდებში, ვებგვერდზე შეიმჩნევა გაშუქებული საკითხებისადმი კრიტიკული მიდგომის ნაკლებობა. შესაბამისად, მონიტორინგის სუბიექტთა გაშუქებისას გაზრდილია ნეიტრალური ტონის პროცენტული მაჩვენებლები.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ dfwatch.net საკმაოდ მიუკერძოებლად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს; დაცულია ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მოცემულ პერიოდში ვებგვერდზე შეიმჩნევა საკითხებისადმი კრიტიკული მიდგომის ნაკლებობა.



## palitratv.ge

მონიტორინგის მესამე პერიოდში palitratv.ge-ზე მონიტორინგის წინა პერიოდებთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა კრიმინალის გაშუქება. კრიმინალის გაშუქებისას ხშირად მასალები პირდაპირ არის გადმოტანილი შსს-ს ვებგვერდიდან. ასევე, მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ვებგვერდი ხშირად უცვლელად ათავსებდა პრეზიდენტის მიმართვებს, რამაც განაპირობა ის, რომ palitratv.ge-ზე პრეზიდენტის გაშუქების 62 პროცენტი პოზიტიურია.

დადებითი ტონის 61 პროცენტი დაფიქსირდა მთავრობის გაშუქებისას. ამ შემთხვევაშიც ეს განაპირობა შსს-ს მიერ გავრცელებული ვიდეომასალების გაშუქებამ, რომლებშიც სამინისტროს მუშაობა უმეტეს წილად დადებითად არის შეფასებული.


აღნიშნულ პერიოდში ვებგვერდზე ასევე ხშირად ვრცელდებოდა სხვადასხვა ტელეკომპანიის ეთერიდან მოპოვებული კადრები. რამდენჯერმე განთავსდა ორიგინალური, ვებგვერდის ჟურნალისტთა მიერ მომზადებული მასალა, თუმცა, უმეტეს შემთხვევებში, ვხვდებით მხოლოდ კადრებს, ჟურნალისტის კომენტარის გარეშე.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ვებგვერდზე ინფორმაცია ცალმხრივად იყო გაშუქებული. მათ შორის, სიუჟეტი „გიორგი მარგველაშვილს მკვლელის მფარველობაში ადანაშაულებენ“ (11 სექტემბერი), რომელშიც გარდაცვლილი ახალგაზრდის დედა პრეზიდენტობის კანდიდატს მკვლელის მფარველობაში ადანაშაულებს, თუმცა, სიუჟეტში არ ყოფილა წარმოდგენილი რაიმე ოფიციალური ცნობა მომხდარი მკვლელობის შესახებ; სიუჟეტში არც მსგავსი ინფორმაციის მოპოვების მცდელობა შეინიშნებოდა.

მონიტორინგის წინა პერიოდებისგან განსხვავებით, palitratv.ge-ზე ყველაზე ინტენსიურად მთავრობის (44%) საქმიანობა გაშუქდა, რაც ბუნებრივია, თუ შსს-ს მიერ გავრცელებულ ზემოთხსენებულ ვიდეომასალებს გავითვალისწინებთ.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ palitratv.ge მეტ-ნაკლებად იცავს ჟურნალისტური ეთიკის ნორმებს, თუმცა, ვებგვერდზე ხშირად ვხვდებით განთავსებულ ვიდეომასალას, რომლებშიც არაეთიკური ლექსიკა შეუზღუდავად არის დაშვებული.





## დასკვნა

მონიტორინგის მესამე პერიოდში ქართულ ონლაინ მედიაში გახშირდა საპრეზიდენტო კანდიდატა საქმიანობის გაშუქება. ვებგვერდების უმეტესობა მათ საქმიანობას მეტ-ნაკლებად მიუკერძოებლად აშუქებს. გამონაკლისს წარმოადგენს ვებგვერდები droni.ge და presa.ge, რომლებზეც ცხადად შეიმჩნევა კოალიცია „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის დისკრედიტაციის მცდელობა.

მოვლენების ცალსახა გაშუქებით გამოირჩევა for.ge-ც, რომელიც ღიად გამოხატავს რედაქციის კრიტიკულ განწყობას პრეზიდენტისა და „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ. თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ ვებგვერდზე შეიმჩნევა „ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატის დავით ბაქრაძის ცალსახად უარყოფითი კუთხით წარმოჩენის მცდელობა.

ანალიტიკური სტატიების რაოდენობამ იკლო ვებგვერდებზე civil.ge და dfwatch.net. ეს ვებგვერდები მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ძირითადად საკითხების ზედაპირული გაშუქებით შემოიფარგლებოდა.

ჟურნალისტთა მხრიდან დისკრიმინაციული და შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენების შემთხვევები ხშირად გვხვდება ვებგვერდებზე presa.ge, droni.ge და for.ge. მონიტორინგის წინა პერიოდებთან შედარებით გახშირებულია ჟურნალისტური სტანდარტების დარღვევის შემთხვევები ვებგვერდზე droni.ge.

ონლაინ მედიის ძირითად პრობლემებს შორის კვლავ რჩება საკითხების ზედაპირული გაშუქება, ცალკეულ სტატიებში წყაროთა სიმცირე და სტატიების სათაურების შეუსაბამო ტექსტთან.



